



**უფლებათა გადამეტება ქართულ პოლიციასა და ციხეში :  
მოვითხოვთ ევროპულმა სასამართლომ განახლოს  
საქმეების არასათნადო გამოძიების გამო**

გამოქვეყნდა : 23 იანვარი , 2018 წელი

ორი წელი გავიდა მას შემდეგ , რაც საქართველოს მთავრობამ [აღიარა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის \(ECHR\) დარღვევა](#) ოთხ სასამართლო საქმეში , რაც ჩვენი და [საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის](#) (GYLA, თბილისი) თანამშრომლობის შედეგია . მიუხედავად საქართველოს მთავრობის დაპირებისა, რომ გამოიძიებდა ამ საქმეებში არსებულ დარღვევებს, პრაქტიკულად არაფერი გაკეთებულა ეფექტური გამოძიების ჩასატარებლად. 2018 წლის იანვარში ადამიანთა უფლებების ევროპულმა საადავო ატო ცენტრმა ([EHRAC](#)) და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ([GYLA](#)) მოითხოვეს , რათა ადამიანთა უფლებების ევროპულ სასამართლოს ხელახლა გადაეხედა ამ საქმეებისათვის , იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მთავრობა რეალურად არაფერს აკეთებდა ამ საქმეთა გამოსაძიებლად.

**რა საქმეებზეა საუბარი ?**

ამ საქმეთა განსამი ეხება პოლიციის მიერ ძალის ბოროტად გამოყენებას პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ [2009 წლის საპროტესტო გამოსვლების](#) დროს. საქართველოს მთავრობამ აღიარა , რომ გადამეტებულ ძალ იქნა გამოყენებული პოლიციის მიერ , რასაც შედეგად მოჰყვა არაადამიანური და ღირსების შემლხველი მოპყრობა , დაირღვა ადამიანთა უფლებები (მუხლი 3, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ). ამ საქმეებში ცალკეულ ავლევანთა მიმართ საქართველოს მთავრობამ აღიარა ასევე რომ ხელსუფლებამ დაარღვია აზრის [თავისუფალი გამოხატვის უფლება](#), შეკრებისა და გაერთიანების უფლება (მუხლი 11) და სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება (მუხლი 6). მეოთხე საქმეს შეეხება პიროვნებას , რომელმაც პატიმრობაში ყოფნისას უარი განაცხადა პოლიციის ინფორმანტი გამხდარიყო . ამის გამო ის [პოლიციისა და პატიმრების ზეწოლის ქვეშ მოექცა და თავის იზოლირებულ საკანში ჩამომხრჩვალ იქნა ნაპოვნი](#).

საქართველოს მთავრობამ აღიარა რომ დაარღვია ამ პიროვნების სიცოცხლის უფლება (მუხლი 2).

ეს ოთხი საქმე სასამართლოს მიერ 2015 წელს გადაწყვეტილი იქნა 2 მექანიზმის საშუალებით - მეგობრული მორიგებითა და უნილტერული დეკლარაციით საქართველოს მთავრობის მიერ გამოყენებულ პირობები (ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაციის დარღვევის აღიარების ჩათვლით) გულისხმობდა რომ ეს საქმეები დასრულდა. ყველა ამ საქმის განხილვისას მთავრობამ აიღო ეფექტური გამოძიების ჩატარებისა და ასევე დაზარალებულთა მიმართ ოფიციალური კომპენსაციის გაცემის ვალდებულება. მას შემდეგ უკვე 2 წელი გავიდა და მიუხედავად ამ დაპირებისა, აპლიკანტთა განცხადებით, საქმეთა ეფექტური გამოძიებისათვის არაფერი გაკეთებულა. ამის გამო ევროპულმა სასამართლომ ამ საქმეთა ხელახლა გამოძიების საკითხი უნდა გაააქტიუროს. [\(ადამიანთა უფლებების ევროპული კონვენციის 37-ე მუხლის გათვალისწინებით\).](#)

### რა მოხდება ამის შემდეგ ?

ევროპული სასამართლოს წინაშე ამ საქმეთა ხელახალი გამოძიების მოთხოვნის წამოყენებით ჩვენ მიზნად ვისახავთ რათა საქართველოს მთავრობამ ჰასუხი აგოს და შეასრულოს თავისი დანაპირები, საქმეთა ზემოთ აღწერილი გზით მოგვარების გარდა. საქართველოს მთავრობამ უნდა გააცნობიეროს, რომ საკმარისი არ არის მხოლოდ ადამიანის უფლებათა ხელყოფის აღიარება. მან უნდა შეასრულოს აღებული ვალდებულებები, ეფექტურად და დროულად განახორციელოს საგამოძიებო ქმედებები. თუ სასამართლო გაიზიარებს ჩვენს პოზიციას, ეს საქართველოს მთავრობას გაუგზავნის მკაფიო სიგნალს, რომ ადამიანის უფლებათა ხელყოფის აღიარებით, დაზარალებულთა ალტერნატიული მორიგება და ცალმხრივი დეკლარაციის გამოცემა არ ათავისუფლებს მას ადამიანის უფლებათა ხელყოფისა და დაზარალებულთა წინაშე აღებული ვალდებულებისაგან. ეს ნაბიჯი ასევე დაავალდებულებს ხელისუფლებას, მიიღოს სათანადო ზომები რათა მომავალში ადამიანის უფლებათა ამგვარი დარღვევები არ განმეორდეს.

### განზოგადებული მნიშვნელობა

გასულ წლებში საქართველოს სამართალმცავი სააგენტოების მიერ ჩადენილი კრიმინალური ქმედებების გამჭვირვალე და ეფექტური გამოძიების უზმარისობა საქართველოს სასამართლო სისტემის ერთ-ერთ მეთად სერიოზულ პრობლემად რამდენჯერმე იქნა იდენტიფიცირებული. ეს საკითხი, სხვა ინსტიტუტებთან

ერთად, დაწვრილებით გამოვივლით საქართველოს სახალხო დამცველს ოფისმა, გაერთიანებულ ერების ორგანიზაციის სპეციალურმა მომხსენებელმა წამების საკითხებში, ევროსაბჭოს ადამიანთა უფლებების კომისიამ და [ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა](#).

**სასტიკი მოპყრობა სასჯელდსრულების ორგანოებში:  
მაქრია ზურაშვილის საქმე**

ამ ტიპის საქმეთა გაგრძელება სასჯელდსრულების ორგანოებში ჰატიმართ მიმართ გამოვლენილი სისასტიკის ბოლოდროინდელი საქმე საქართველოდან, რომელიც იმავე მიდგომით იქნა გადაწყვეტილი, როგორც ზემოთ აღწერილი საქმეები - მთავრობამ აღიარა, რომ ადამიანთა უფლებების ევროპულ კონვენცია იქნა დარღვეული, კერძოდ - მუხლი 3.

2011 წლის მაისში [ქართული ოპოზიციის კოალიციამ, რომელსაც ნინო ბურჯანაძე ხელმძღვანელობდა, ორგანიზება გაუკეთა საპროტესტო დემონსტრაციას თბილისის ცენტრში მდებარე პარლამენტის შენობის წინ](#). მასობრივი არეულობასთან ბრძოლის პოლიციის დანაყოფმა დემონსტრანტების წინააღმდეგ წყლის ჭავლი და ცრემლსადენი გაზი გამოიყენა, განურჩევლად იმისა თუ ვინ იდგა მათ წინაშე. გარდა ამისა მათ სცემეს და დააპატიმრეს რამდენიმე დემონსტრანტი. ბურჯანაძემ და ოპოზიციის რამდენიმე ლიდერმა გადაწყვიტეს დაეტოვებინათ იქაურობა. ისინი მანქანით გადაადგილდებოდნენ დემონსტრანტებსა და პოლიციის დანაყოფს შორის. პირველი მანქანა მოძრაობდა მაღალი სიჩქარით, რომ პოლიციის კორდონი გაერღვია და დანარჩენი მანქანები მას მიჰყვებოდნენ. მას შემდეგ რაც მანქანებმა დატოვეს იქაურობა, გზაზე გარდაცვლილი პირის ცხედარი აღმოჩნდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ პოლიციის ოფიცერი და ერთი დემონსტრანტი დაიღუპნენ. მზიდვე მანქანის მძღოლი დააპატიმრეს მკვლელობის ბრალდებით, მაგრამ ნინო ბურჯანაძის მძღოლს, მაქრია ზურაშვილს მიმართ ბრალდება კვალთვით დაკავშირებული იქნა როგორც წინასწარ განზრახული, ჯანმრთელობის სერიოზული დაზიანება და პოლიციის ოფიცრისათვის წინააღმდეგობის გაწევა. მის ინტერესებს ევროპულ სასამართლოში წარადგინდნენ ადამიანთა უფლებების ევროპულ სააფეთქათო ცენტრი (EHRAC) და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA). ბატონმა ზურაშვილმა ევროპულ სასამართლოს წინაშე დაასაბუთა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის ოფიცრები მას სასტიკად მოეპყრნენ როცა ის ჰატიმრობაში იქნა

აყვანილი . მან მიუთითა ასევე , რომ ზემოთ მოყვანილ მოვლენებთან დაკავშირებით არანაირი ეფექტური გამოძიება არ ჩატარებულა , რაც ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციის მე -3 მუხლს დარღვევას გულისხმობს .

2017 წლის სექტემბერში [ევროპულმა სასამართლომ მიიღო საქართველოს მთავრობის უნილატერული დეკლარაცია](#), რომელშიც მკათოდ აღიარებდა რომ ბატონი ზურაშვილს მიმართ მე -3 მუხლით გათვალისწინებულ უფლებები ორივე შემთხვევაში იქნა დარღვეული. დეკლარაცია მიუთითებდა რომ ხელისუფლების ორგანოები ვალდებული იყვნენ ბატონი ზურაშვილს მიერ წამოყენებულ ბრალდებებთან დაკავშირებით ეფექტური გამოძიების ჩატარებას , ასევე ფულად კომპენსაციის სახით მისთვის

5000 ევროს გადახდას . ზურაშვილი არ დააკმაყოფილა დეკლარაციის პირობებმა იმის საფუძველზე , რომ დოკუმენტი არ აზუსტებდა გამოძიების ჩატარების კონკრეტულ დროს. დეკლარაცია ასევე არ იძლეოდა იმის გარანტიას , რომ ის დაზარალებულს სტატუსს მიიღებდა და ამის გათვალისწინებით ჩართულ იქნებოდა საგამოძიებო პროცესში . მიუხედავად ამისა , სასამართლომ მიიღო აღნიშნული დეკლარაციის პირობები . ამ საქმის დროულ და ეფექტური გამოძიება კარგ საშუალებას მისცემს მთავრობას , რათა თვალსაჩინოდ დემონსტრირება მოახდინოს იმისა , თუ რამდენად სერიოზულად ევნიდება ის ადამიანთა უფლებების დაცვას. ამ საშუალების გამოყენება გარდატეხას შეიტანს ზემოთ ნახსენები საქმეების გამოძიების ტენდენციაში.